



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-53/ნ

4 ივნისი 2021 წ.

ქ. თბილისი

სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტები“ თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი



ეკატერინე ტიკარაძე